428

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა, 18 იანვარი, 1942 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 3 (214). ფასი 30 კაპ.

## ვემზადოთ წითელი არმიის 24 წლისთავისათვის

23 თებერვალს ჩვენი სამშობლო დღესასწაულებს მუშურ-გლეხური წითელი არმიის არსებობის 24 წლისთავს. მთელი საბჭოთა ხალხი განსაკუთრებული გულმოდგინეობით ემზადება ამ სახელოვანი თარიღის აღსანიშნავად.

წითელი არმია მუდამ განუყოფელი იყო საბჭოთა ხალხისაგან. ლენინმა და სტალინმა შექმნეს იგი. ლენინ-სტალინის იდეალებისთვის იბრძოდა იგი. ლენინ-სტალინის დროშის ქვეშ გაცამტვერა მან შინაური კონტრრევოლუცია და მოდრიკა 14 სახელმწიფოს ინტერვენცია. ორი ათეული წლის მანძილზე იგი გუშაგად ედგა საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, დიდ სოციალისტურ მშენებლობას, და როგორც კი ვერაგმა მტერმა მუხანათური დარტყმით სცადა ჩვენი ქვეყნის წამოჩოქება, მას რკინის კედლად წინ აღუდგა შეურყეველი, გაუტეხავი ჩვენი მშობლიური წითელი არმია. თითქმის მეშვიდე თვეა საარაკო ვაჟკაცობით ებრძვის ის ფოლადში ჩასმულ უსასტიკეს მტერს და ეს მისი ბრძოლა იწვევს საერთო განცვიფრებასა და აღტაცებას მთელს მსოფლიოში. სამამულო ომის შვიდმა თვემ უფრო მეტად განამტკიცა საბჭოთა ხალხის და მისი არმიის განუყოფელი ერთიანობა. ზურგი და ფრონტი, ხალხი და არმია ცოცხლობენ ერთი სიცოცხლით, ერთი მისწრაფებით, მთელ თავის მოქმედებას ისინი უმორჩილებენ ერთადერთ მიზანს—ჩვენი სამშობლოს და ევროპის დამონებული ხალხების განთავისუფლებას მიხაკისფერი ჭირისაგან. ამ ერთიანმა ნებისყოფამ, არმიისა და ხალხის მტკიცე განუყოფელობამ უზრუნველჰყო მტრის შეჩერება, მტრის უამრავი ცოცხალი ძალის და ტექნიკის განადგურება, მტრის უკან დახევა მთელს ფრონტზე.

წითელი არმიის სტალინელმა მეომრებმა, მეთაურებმა და სარდლებმა სამაგალითოდ და საამაყოდ გაამართლეს იმედი და ნდობა საბჭოთა ხალხისა, რომელსაც უმძიმეს დღეებში, როცა ჩვენი არმია უკან იხევდა, ოდნავადაც არ დაუკარგავს გამარჯვების რწმენა და რომელიც საშინელი განსაცდელის დროს საქვეყნოდ აცხადებდა: ჩვენ ამ განსაცდელს ავიტანთ, ჩვენ ყოველგვარ გასაჭირს გავუძლებთ, ჩვენი არმია არ შედრკება, ლენინისა და სტალინისაგან შექმნილი, აღზრდილი და გამოწრთობილი იგი სძლევს და გაცამტვერებს ფაშისტურ ურდოებს, რამდენნიც არ უნდა იყვნენ და რა ტექნიკითაც არ აღიჭურვონ ისინი. მამაცმა ჩვენმა არმიამ გაამართლა ეს რწმენა და ამით გააორკეცა საბჭოთა ხალხის სიყვარული თავისადმი.

საბჭოთა ხალხმა მრავალჯერ და მრავალი ფორმით გამოამჟღავნა თავისი უგულითადესი დამოკიდებულება მშობლიური არმიისადმი. ამას მოწმობს საბჭოთა პატრიოტების თავდაუზოგველი შრომითი სიმამაცე ქარხნებსა და კოლმეურნეობებში, ამას მოწმობს თავდაცვის ფონდის, თბილი ტანსაცმელის შესაგროვებლად წარმოებული და ნამდვილ სახალხო მოძრაობად გადაქცეული კამპანია, ამას მოწმობს ფრონტისთვის დანიშნული საახალწლო საჩუქრების განუწყვეტელი ნაკადი, ამას მოწმობს უამრავი დონორის — ჭაბუკისა და ქალიშვილის მიერ უხვად გაღებული სისხლი დაჭრილ მამაც მეომართა სიცოცხლის გადასარჩენად.

სავსებით ბუნებრივია, თუ ხალხი, რომელმაც ამდენი რამ გააკეთა და აკეთებს ჩვენი მამაცი მეომრებისათვის, ესოდენი გულმოდგინეობით ემზადება დღეს წითელი არმიის სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად. ეს საყოველთაო მზადება თავდებია იმისა, რომ წითელი არმიის 24 წლისთავი გადაიქცევა ხალხისა და არმიის განუყოფელი ერთიანობის ამაღელვებელ დემონსტრაციად.

საქართველოს საბჭოთა მწერლები უკვე დროა შეუდგნენ მზადებას აღნიშნული თარიღისათვის, რომ ღირსეული მონაწილეობა მიიღონ ამ სახალხო დღესასწაულში. ჩვენმა პოეტებმა, პროზაიკოსებმა, მომხსენებლებმა ამ თავითვე მობილიზაცია უნდა უყონ თავიანთ თავს და შექმნან ახალი ნაწარმოებები უამრავი მასალის საფუძველზე, რომელიც ყოველდღე ქვეყნდება ჩვენი მებრძოლების, მეთაურების, პოლიტმუშაკების საგმირო საქმეებზე, მათ საარაკო სიმამაცესა და ვაჟკაცობაზე, მათ უსაზღვრო პატრიოტიზმზე.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა ამ თავითვე უნდა გამოიმუშაოს დღესასწაულის ჩატარების თავისი გეგმა. იგი უნდა ითვალისწინებდეს წითელი არმიისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოების ორგანიზაციას მსხვილ საწარმოებსა, დაწესებულებებსა, სარაიონო ცენტრებსა და თვალსაჩინო კოლმეურნეობებში. რამდენიმე დიდი საღამო უნდა გაიმართოს სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტლებში. მწერალთა კლუბში უნდა მოეწყოს შეხვედრა სამამულო ომის გმირებთან. ამ თავითვე დამუშავებულ უნდა იქნას საღამოებისა და შეხვედრების ვრცელი და მრავალმხრივი პროგრამა. საღამოებში მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მარტო მწერლებმა, არამედ ჩვენი მხატვრული ინტელიგენციის, ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენლებმა —აკადემიური თეატრების მსახიობებმა, კომპოზიტორებმა და მუსიკალურ ნაწარმოებთა შემსრულებელ-ოსტატებმა.

ყველა ჩვენი სამხატვრო ორგანიზაცია უნდა გაერთიანდეს ამ მშობლიური დღესასწაულის ჩასატარებლად. ყველა ღონისძიება უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ შინაარსიანი და მრავალმხრივი ლიტერატურულ-მხატვრული საღამოების მოწყობით შევძლოთ გამოვხატოთ საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული ჩვენი სამშობლოს და ევროპის ყველა დამონებული ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლ მუშურ-გლეხურ წითელი არმიისადმი.

## ორი ლექსი

### მაყვალა მრევლიშვილი

### ფიქრები

დავემშვიდობე, და ცივი ხელი,
წუთით გამითბო მისმა მარჯვენამ,
ნეტავ დაბრუნდეს გმირის სახელით,
გამარჯვებული მალე მიჩვენა!..
ქალებთან ერთად თეთრეულს ვკერავ,—
გულს უფრო მეტი შველა სწადია,
იანვრის ქარმა თოვლი დასერა,
მკაცრი ახალი წელიწადია.
დიასახლისნი საქმეს ვაჩქარებთ,
დაღლას ვერა ვგრძნობთ ღამე-ნათევნი,
ყველას ვახარებთ შინა და გარეთ:
— თითქმის მზადა გვაქვს ამანათები!
მალე მიერთვას მშობლიურ მებრძოლთ,—
არ შეაწუხოთ ყინვამ, ნამქერმა...
...ერთი პერანგიც ნეტავ მას ერგოს,
გული გაუთბოს ჩემმა ნაკერმა...

### ბაბუა დენისოვი

უკან მოჰყვება მტერს გლოვის ზარი,
მათს ნაკვალევზე ბალახი გახმა...
...ნაპირს მოადგა მტარვალთა ჯარი,
და ფონს დაეძებს—გავიდეს გაღმა;
დამწვარ-დაბუგულ ნასოფლარის ახლოს,
ნახეს მოხუცი, წინ გამოიგდეს:
— გაღმით გასვლა გვსურს, ბებერო ძაღლო,
შენ მაინც შეგვხვდი მასპინძლის რიგზე!..
სწორად უვლიათ, აქ არის ფონი,
წყალი წელამდე არც კი შესწვდებათ,
ჩემი დროც დადგა, ვივარგებ მგონი, —
მტერი აქ გასვლას აღარ ეცდება...
აღარ აშინებს მათი მუქარა,
მშვიდად შესტოპა, შეუყვა ტალღას,
წყალში ჩაცუცქდა, ჩოქვით უგანა,
თვალებზე მიწვდა მდინარე თალხი...
— ნახონ რა ღრმაა!
იქ კი ჩვენები დროს მოიგებენ,
მომიგონებენ...
და მშობლიურმა ზვირთმა, სვენებით,
მოხუცის თავზე შეჰკრა რგოლები.

## სიცოცხლე

მეეტლემ მათრახის ტარით ფანჯარა დააკაკუნა.

— ახლავე, ახლავე!—დაბალი ხმით გასძახა ექიმმა.

ნივთები უწესრიგოდ ეყარა იატაკზე, სკამებზე, მაგიდებზე. ექიმმა რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში, სცადა ამოერჩია აუცილებელი. რაღაც ჩასდო ჩემოდანში და მოქანცული დაჯდა. მის წინ ჩარჩოში ეკიდა ბუხჰოლცის სურათი—„შემოდგომის დღე“: შეყვითლებული ბუჩქები, პატარა შორი ტყე, სექტემბრის მოლურჯო ცა, გასაოცრად წყნარი და მშვიდობიანი.

კარადის თაროებზე ეწყო წიგნები რბილ ტყავის ყდაში, დროის ვითარებისაგან გაყვითლებული ფურცლებით.

ექიმმა ზედა თაროდან გრძელი, გაცვეთილი დავთარი ჩამოიღო და გადაშალა. პირველ გვერდზე შავად მოსჩანდა გახუნებული მელნის ნაწვეთი. ექიმს გაახსენდა, როგორ ჩამოვიდა ამ 30 წლის წინად სოფელში, როგორ იყიდა მედუქნისაგან ეს დავთარი, რომ დღიური ეწარმოებინა. როგორი მღელვარებით ელოდა პირველ ვიზიტს. ბოლოს, როგორც იქნა, მიიწვიეს გოგონას სანახავად, რომელსაც დიდხანს მიტოვებული, თითქმის განუკურნავი პერიტონიტი სტანჯავდა. შვიდი დღე დაჰყო გულმოდგინედ შეთეთრებულ ვიწრო ქოხში. ოპერაცია გააკეთა ნავთის ლამპის შუქზე. სასთუმალთან ეჯდა ავადმყოფს, უსინჯავდა მაჯას, სცდილობდა არ ემზირა დედის უძრავ, ძალიან მკრთალ და მკაცრ სახისთვის.

შემდეგ გოგონამ გამოკეთება იწყო. დაღლილობისაგან ექიმს ფეხი ერეოდა, პირდაპირ ტალახში მიაბიჯებდა სოფლის შარა-გზაზე, უძილობისაგან და ცივი შემოდგომის ქარისაგან გაბრუებული. როცა შინ დაბრუნდა, ყველაზე მეტად, თვით ძილზე მეტადაც უნდოდა ვინმესთვის ეამბნა განცდილი, მაგრამ ოთახში არავინ იყო. ექიმმა დავთარი გადაშალა, მაგრა დააწვა კალამს, დასწერა ორი სიტყვა — გოგონას სახელი და გვარი. სურდა განეგრძო, მაგრამ კალამს მელნის წვეთი მოსწყდა და ნაწვეთი გაიდღაბნა.

ასე დარჩა პირველ გვერდზე ორი სიტყვა და ვეებერთელა შავი წერტილი. შემდგომად იგი სწერდა წიგნში ყველაფერს, რასაც აკეთებდა— აღნიშნა საბავშო ბაგის, სამშობიარო სახლის, საავადმყოფოს აგება. ჩასწერა ისიც, რომ 1938 წელს მან ხუნაგისაგან გაჰკურნა 9 წლის კოსტია ფეოდოროვი. ამის შემდეგ არც ყოფილა ხუნაგის შემთხვევა ამ სოფელში. ასე გაქრა სოფელში წითელაც, რახიტიც, დიფტერიტიც და ტიფიც-კი, რომელიც წინად აუარებელ სიცოცხლეს სპობდა.

ეს იყო ძუნწად და ნაჩქარევად დაწერილი წიგნი სიცოცხლისათვის წარმოებულ ბრძოლაზე, მკაცრ და პატიოსან შრომაზე, რომლის გახსენებაც ახლა მძიმე, საშინელი, თითქმის შეუძლებელი იყო.

მან შუაზე გახია წიგნი, კუთხეში მიაგდო და ქუჩაში გავიდა. ძალიან ახლოდან ისმოდა ერთმანეთში არეული ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების კაკანი. ირგვლივ სიცარიელე იყო. ეტლში შებმული ცხენები ცქმუტავდნენ და როცა ექიმი ეტლში ჩაჯდა, ისინი გაქანდნენ გრძელს შარაგზაზე, რომელიც ბორცვს მიუყვებოდა და სიმინდის ყანებში იმალებოდა.

ექიმს მდინარის ნაპირზე ელოდნენ. მეეტლემ ერთბაშად შეაჩერა ცხენები, ჩამოხტა კოფოდან, რატომღაც ქუდი მოიხადა და წელში გამართულმა განზე დაიწყო ცქერა. ექიმი მივიდა მასთან. რამდენსამე წუთს სდუმდა—30 წელიწადს მუშაობდნენ ერთად, დღისით და ღამით ეტლით დადიოდნენ სოფელ-სოფელ. ერთად მოხუცდნენ. ექიმმა შეხედა მეეტლის მოკლედ შეკრეჭილ ჭაღარა თავს, მერე უცბად ნაბიჯი გადადგა, ხელი მაგრა მოჰხვია და გადაჰკოცნა.

— მაშ რჩებით ამათთან?—ჰკითხა მეეტლემ.

— ჰო, ვრჩები.

მეეტლემ გადუტყლაშუნა ცხენებს, ეტლი აცოცდა ბორცვზე და გაჰქრა მხედველობიდან. თავის გამყოლებთან ერთად ექიმი ლაქაშებში მიიმალა. გაყვითლებული და გამხმარი ლერწამი შრიალებდა. ნაბიჯის ყოველი შეხებისაგან იზნიქებოდა. შემდეგ მდინარეში შევიდნენ. თითქმის წელამდე წყალში მიდიოდნენ. გავიდნენ მთლიანად ლაქაშებით დაფარულ პატარა კუნძულზე.

ღამით ექიმის ახლო წინ და უკან გუშაგი დადიოდა. უზარმაზარი მთვარე თავზე დასცქეროდა. დაძინება უნდოდა, მაგრამ ათასი აზრი უტრიალებდა თავში. ხანძრის დაფიონს შეეღება ცა. შორიდან აფეთქების ყრუ ხმა მოისმოდა.

ასე დაიწყო პარტიზანული ცხოვრება. ექიმს მცირე სამუშაო ჰქონდა— ბედნიერება თან სდევდა პარტიზანულ რაზმს. ექიმმა მოიწყინა, რაკი საყვარელ და მშობლიურ საქმეს მოსწყდა.

ერთს ღამეს რაზმში შუახნის ქალი მივიდა. ექიმმა ერთბაშად ვერ იცნო ანასტასია ვეტროვა, ისე გამოცვლილიყო, გამხდარიყო და გაჭაღარავებულიყო იგი. აქვითინდა, როცა ექიმი დაინახა, ხოლო მოგვიანებით, როცა ტირილით გული იჯერა და დამშვიდდა, ექიმს უამბო, თუ რისთვის მივიდა. ვაჟიშვილი გამიხდათ მძიმედ ავად, მესამე დღეა უგონოდ წევს. რასაკვირველია, ვიცი, რომ თქვენ შეიძლება მოგკლან, — სოფლად გერმანელები დათარეშობენ და მთელ მხარეს მოედო პარტიზანებთან თქვენი ყოფნის ამბავი. მაგრამ რა ვქნა, თქვენს გარდა, მშველელი არავინა მყავს, ბავშვი მიკვდება.

ექიმი წასასვლელად მოემზადა. როგორღაც ერთბაშად სახე შეეცვალა და გაახალგაზრდავდა კიდეც. რაზმის უფროსმა აუკრძალა სოფელში წასვლა — ეხლა ხომ ათიათასობით იღუპებიან. თქვენი სიცოცხლე უფრო ძვირფასია, ვიდრე ის, ვისთვისაც თქვენ თავს სასიკვდილო საფრთხის ქვეშ აყენებთო.

ექიმმა ვერ შესძლო საპასუხო სიტყვების მოძებნა. მას უნდოდა ეთქვა, რომ პარტიზანად გავხდი სწორედ იმიტომ, რომ ვიბრძოლო სიცოცხლისათვის, ჩემი საქმისათვის, ხოლო გერმანელები ჩემთვის წარმოადგენენ რაღაც სიკვდილის არმიას, რაღაც გამხრწნელ და საშინელ რამეს, როგორიც არის შავი ჭირის მიკრობი, კუთრის ვირუსი. მას ბევრი რამ სურდა ეთქვა, მაგრამ არ უყვარდა მაღალფარდოვანი სიტყვები, უბრალოდ-კი ამის თქმა ძალიან ძნელი იყო.

— ჩემი მოვალეობაა, — სთქვა მან კუშტად, — დაბრუნებით უსათუოდ დავბრუნდები, პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

რაზმის უფროსმა იგრძნო, რომ ექიმთან დავა უსარგებლოა.

დაღამებისას რაზმის ბანაკიდან გავიდნენ. მიიპარებოდნენ ლაქაშებში, გადადიოდნენ მდინარეზე, მიხოხავდნენ მუცლით გამხმარი სიმინდის ყანებში, უჩუმრად მიიპარებოდნენ ჩაბნელებულ, დაძინებულ სოფლისაკენ.

შეუმჩნევლად აუარეს გვერდი გერმანელ გუშაგს. როცა ექიმი ქოხში შევიდა, ხელი მოჰკიდა ბავშვის სიცხიან, ძალიან წვრილ მაჯას და მონახა ძალზე აჩქარებული პულსი, ყველაფერი ის, რაც ამ თვეებში მოხდა, გაჰქრა ექიმისათვის: მთელი მისი გონება მხოლოდ მასზე მინდობილი სიცოცხლის გადარჩენამ შეიპყრო.

ოპერაცია რაც შეიძლება მალე უნდა გაეკეთებინა. ექიმი მიმოდიოდა ოთახში და მკაცრ ბრძანებას აძლევდა დედას და ავადმყოფის პატარა დას, 12 წლის გოგონას, რომელიც უხმოდ და გასაოცარი სისწრაფით მუშაობდა.

ოპერაცია ოთხ საათს გაგრძელდა, ძალიან ძნელი და მძიმე ოპერაცია იყო, შეიძლება ყველაზე მძიმე და ძნელი ოპერაცია მის ცხოვრებაში.

ოპერაციას მოჰყვნენ ციებ-ცხელებიანი, დამტანჯვი საათები, როცა ადამიანის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, როცა იკარგება მიჯნა დღესა და ღამეს შორის და სრულიად უიმედო წუთებს სცვლიან ნათელი და მხიარული წუთები.

ექიმი გვერდით ეჯდა ავადმყოფს ორი, იქნებ სამი თუ ოთხი დღე-ღამე. დაჰკარგა სრულიად დროს ანგარიში, შემდეგ იქვე ავადმყოფის სასთუმალთან დასდო თავი ხელიგულებზე და ჩაიძინა. შეიძლება ეს ყველაზე უბედნიერესი წუთები იყო მის ცხოვრებაში. გამოაღვიძა ფეხის მძიმე ბრახუნმა. მსწრაფლ წამოდგა. დაინახა კარებში ორი გერმანელი, მისკენ მიმართული პარაბელუმებით.

ექიმი იდგა პირისპირ სიკვდილის არმიის მებრძოლების წინ. მას უკვე დამთავრებული ჰქონდა მუშაობა, რომლის შეფერხება მათ ვერ შესძლეს, მას უკვე გადარჩენილი ჰყავდა პატარა ადამიანი, რომელიც იცოცხლებს ამ ქვეყნად, ჩვენი დღეების გმირთა მიერ მოპოებულ მხიარულ და ნათელ ქვეყანაზე. ექიმი იდგა პირისპირ მათ წინ, უცნაურად დამშვიდებული და კმაყოფილი იმით, რომ შეასრულა საქმე, შეასრულა თავისი დანიშნულება ცხოვრებაში.

მან მოასწრო ჯიბიდან ნაგანის ამოღება და იმის დანახვა, თუ როგორ დაეცა ერთი კარებში მდგომთაგანი, მოკვდა იმ შეგნებით, რომ გააკეთა ის, რაც შეეძლო გაეკეთებინა სიცოცხლისათვის ბრძოლაში, სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ა. შაროვი

სამხრეთის ფრონტი.



ჩრდილო-დასავლეთის მიმართულება. მეზენიტეები იგერიებენ მტრის ბომბდამშენების თავდასხმას.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

## ლენინის ხსოვნის საღამო მწერალთა კლუბში

20 იანვარს, საღამოს 8 საათზე საქართველოს მწერალთა კავშირი და ხელოვნების საქმეთა სამმართველო მწერალთა კლუბში მართავენ ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს. მოხსენებას გააკეთებს ამხ. დ. ბენაშვილი თემაზე „ლენინის ძლევამოსილი დროშით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის“.

სიტყვებით გამოვლენ: შალვა დადიანი, გერონტი ქიქოძე, დ. სულიაშვილი, ბ. ჟღენტი, ერ. ასტვაცატუროვი.

ლენინისა და სამამულო ომისადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ: ალ. აბაშელი, შ. აფხაიძე, ლადო ასათიანი, ვ. გაბისკირია, ი. გრიშაშვილი, რ. გვეტაძე ვ. გორგაძე, ს. ეული, მ. კალანდაძე, კ. კალაძე, მარიჯანი, ი. მოსაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი, სიმ. ჩიქოვანი, სანდრო შანშიაშვილი.

შესვლა თავისუფალია.

## ლიტერატურული ახალგაზრდობის საღამო

16 იანვარს მწერალთა კლუბში გაიმართა საქართველოს ლიტერატურული ახალგაზრდობის ანტიფაშისტური საღამო, რომელიც მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. ერ. ასტვაცატუროვმა.

პოლიტიკურად გამახვილებული უხვ ფაქტიურ მასალაზე აგებული მოხსენება თემაზე „სამამულო ომი და საბჭოთა ახალგაზრდობა“ წაიკითხა ამხ. გერონტი ქიქოძემ.

ახალგაზრდა პროზაიკოსებმა — ვლ. ავალიანმა, გრ. ჩიქოვანმა და კლავდია დევდარიანმა აუდიტორიას გააცნეს თავიანთი ახალი ნაწარმოებები. პირველი ავტორი თავის ნოველაში გვიხატავს გაველურებული გერმანელი ფაშისტი ოფიცრის ვანდალურ მოქმედებას ერთ-ერთ ოკუპირებულ ქალაქში. მეორე—გერმანული საოკუპაციო ჯარის თარეშს საქართველოში 1918 წელს, ხოლო მესამე—ქართველი საბჭოთა ქალის სულიერ სიმტკიცეს და თავდადებულ მუშაობას დაჭრილ მამაც მეომართა სიცოცხლის გადასარჩენად.

გერმანულ ფაშისტურ ურდოებზე წითელი არმიის გამარჯვებათა ორგანიზატორის დიდი ბელადის სტალინისადმი, ჩვენი მამაცი სარდლებისა და მეომრებისადმი, მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ლადო ასათიანმა, გ. კალანდაძემ, რ. მარგიანმა, მაყვალა მრევლიშვილმა, მარიკა ბარათაშვილმა, ან. თევზაძემ და იოსებ ნონეშვილმა.

ახალგაზრდა კომპოზიტორმა გ. თორაძემ როიალზე შეასრულა საკუთარი ნაწარმოები.

ხალხით გაჭედილი დარბაზი გულთბილად შეხვდა ახალგაზრდა პატრიოტ მწერლების შინაარსიან საღამოს.

## „Литература и искусство“ № I

თბილისში მიღებულია და „სოიუზპეჩატის“ კიოსკებში იყიდება სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის, ხელოვნების საქმეთა კომიტეტის და კინომატოგრაფიის კომიტეტის გაერთიანებული ორგანოს — ყოველკვირეული გაზეთის Литература и искусство-ს პირველი ნომერი.

გაზეთში მოთავსებულია აკადემიკოს ევ. ტარლეს „1812-1941/42 წ. წ.“, ა. ტოლსტოის, მ. შოლოხოვის, ს. სერგეევ-ცენსკის, ა. ფადეევის, ფ. პამფეროვის. ი. ერენბურგის, ვ. კატაევის კ. ფინის, ვ. ილენკოვის, ს. შჩიპაჩევის, ვ. ერმილოვის კოლექტიური წერილი „სიკვდილი მკვლელებს“. მ. გუსის „მოსკოვი ახალ წელს“, ი. ბოლშაკოვის „კინემატოგრაფია 1942 წელს.“, ა. ფადეევის სამხატვრო ინტელიგენცია სამამულო ომში“, მ. ხრაპჩენკოს „საბჭოთა ხელოვნება ომის დღეებში“, ლეონიდ სობოლევის ორი ნოველა „პარიკმახერი ლეონარდო“ და „ბულბული“, ე. შაპიროს „ფრონტელი მწერლები“, სერგეი ვასილევის, პ. ანტოკოლსკის, სტ. შჩიპაჩევის, ლეიტენანტ ვ. ზახარკინის ლექსები და მრავალფეროვანი ინფორმაცია მოსკოვის, ლენინგრადის და მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურულ ცხოვრებასა და ხელოვნების დაწესებულებათა საქმიანობის შესახებ.

## ახალი წიგნები

გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელ“-მა გამოსცა სამხედრო თემაზე დაწერილი ოცამდე მხატვრული ნაწარმოები, — მათ შორის კ. ფინის „ტანკის მეთაური“, ვლ. სტავსკის „ნარკვევთა კრებული“, ალ. ისბახის „შეხვედრები ფრონტზე“, ს. ვასილევის და მ. მატუსოვსკის სამხედრო ლექსების წიგნები. ამ მოკლე ხანში გამოვა ცნობილ მწერალთა ნაწერების დიდი კრებული „დიადი სამამულო ომი“.

# დ ე დ ა

## ლადო ავალიანი

მისთვის აღარ იყო უჩვეულო ტანკების, თვითმფრინავების ზრიალი, ცეცხლისა და ფოლადის ღვართქაფი. ახლა მეოცედ მიისწრაფოდა ბრძოლის ველზე დაჭრილი მეომრების გამოსაყვანად. რაც უფრო სახიფათო იყო ეს საქმე, მით უფრო სასიხარულო, დაუვიწყარი იყო სამშვიდობოს გაყვანილ, დაჭრილ წითელარმიელთა აღტაცებით აღსავსე მზერა... არავინ ეძახდა მას, გულში კი ყველა ნეტარებით იმეორებდა ერთ სიტყვას—სათუთად უწოდებდა დედას, სიკვდილის საფრთხის წინაშე ქედმოუხრელ, განსაცდელის ჟამს საშველად ხელგამოწვდილ ქალს.

ნაწილში ბევრს ჯერ კიდევ არ ენახა იგი, მაგრამ სახელით უკვე იცნობდნენ და სრული სიხარულით უძგერდათ გული, თუ იგი ახლო ეგულებოდათ...

მებრძოლთა ამგვარ ყურადღებას თითონაც გრძნობდა დედა; ეს გრძნობა მზრუნველობას, მოვალეობის შეგნებას უფრო მეტად უმტკიცებდა...

ფოლადის ნამსხვრევთა სეტყვაში ჟუმბარებით გადახრილ მიწაზე გართხმული, მებრძოლთა ყიჟინით გამხნევებული, დაცემულთა გმინვით შეძრწუნებული, ხელფეხის მარდი მოძრაობით მიიწევდა იგი წინ, იქითკენ, სადაც დაჭრილები ეგულებოდა.

შენიშნა თუ არა დედამ დაჭრილი, გულდაღმა მწოლარე მებრძოლი, უმალვე მიიჭრა მასთან, ფრთხილად შეახო ორი თითი მაჯაზე, მერე მხარზე ხელი მოსჭიდა, გადმოაბრუნა. წამით მკვდრის ფერმა გადაუარა სახეზე დედას. ღრმად ამოიოხრა და მკერდზე ხელი მიიდო, როგორც სჩვეოდა მოკლულის ხილვისას...

მწუხარებას ხანგრძლივად ვერ მიეცემოდა მოკლულის ხილვის გამო, რადგან ცოცხლები თავისკენ უხმობდნენ...

დედაც განშორდა მოკლულს, იქვე მახლობლად მწოლარე დაჭრილ მეომართან [illegible]

თუმცა სიხარულისა, სიჩქარისა და ზედმეტი მზრუნველობისაგან ხელები უკანკალებდა დედას, მაგრამ ორ თუ სამ წუთში შვილის ჭრილობების შეხვევა მაინც მოასწრო. შემდეგ მის გვერდით დაეცა მიწაზე, მოეშვა, მოისვენა და რამდენჯერმე ღრმად და შვებით ამოისუნთქა.

შვილი იმავე დივიზიის მებრძოლი იყო, რომელსაც დედა ემსახურებოდა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შეხვდნენ ერთმანეთს და მუდამ, როცა დედა მებრძოლების გადასარჩენად მიეშურებოდა, უცნაურად უძგერდა გული შვილთან შეხვედრის მოლოდინში...

სულ ერთ წუთსაც არ დაუსვენია დედას, წამოდგა, იფიქრა: ორივე დაჭრილი ერთად წაეყვანა, მაგრამ როგორც კი სცადა, დარწმუნდა, რომ ასეთი ტვირთი მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. თუმცა ხელი უცნობი დაჭრილისაკენ მიიწევდა, მაგრამ გული მაინც შვილთან რჩებოდა: ვერ სტოვებდა, ვერ ელეოდა, დაყოვნება კი აღარ შეიძლებოდა. ვერც ერთი დედა ვერ გაბედავდა, ვერ შესძლებდა, ალბათ, შვილის მიტოვებას, მაგრამ... „სასახელოც ის იქნება, შეუძლებელი შევძლოთ“. ამ აზრმა გული გაუხალისა... როცა შვილს შეხედა, თითქო იგი უკვე მიუხვდაო განზრახვას, მხნედ მიმართა: ეგეც ძმაა ჩემი, თუმცა შენ ჩემს მეტი შვილი არა გყოლია...

დედამ კვლავ აკოცა შვილს, მერე მის მძიმედ დაჭრილ ამხანაგს მიუბრუნდა, ზურგზე ფრთხილად მოიკიდა და სანამ გზას გაუდგებოდა, შვილს თვალით ანიშნა და ჩურჩულითაც დაუმატა: ახლავე დავბრუნდები.

დედა მართლაც მალე მიიჭრა უკანვე, მაგრამ შვილი იქ ვეღარ ნახა, სადაც დასტოვა... შეუბრალებლად შე- [illegible]

# გენერალი ჟუკოვი

## ლადო ასათიანი

კრემლის ქონგურებს შემოარტყეს ყორნებმა რკალი...  
მუხანათურად, ვერაგულად მოიწევს მხეცი  
და გვიყიჟინებს გერმანული ტყვიების ცეცხლით:  
დაგვნებდით, თავათ ჩამოხსენით მოსკოვის კარი.

არ დაოკდება ჩვენი ძალა დაუდეგარი,  
არ დაირღვევა ძლიერება ძმური ფიცვერცხლის.  
ჩვენ ჩვენი თავი ძლევამოსილ ხალხს გადავეცით  
და არასოდეს დამარცხდება ამ ხალხის ჯარი, —

სთქვა და ამხედრდა მტარვალებზე არწივის მხრებით  
იგი — არმიის გენერალი, მხნე და მართალი,  
დასავლეთ ფრონტის გონიერი მთავარსარდალი.

ამხედრდა, დაჰკრა, დალალეწა სამშობლოს მტრები,  
სამარადჟამოდ, საუკუნოდ უკუაქცია  
და კომუნიზმის დიდი დროშა მაღლა ასწია.

# ხობის საკოლმეურნეო თეატრი

1936 წელს საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის პირველი მდივნის, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. ათანასი ჯიქიას ინიციატივით საქართველოს ხელოვნების სამმართველომ ხობში გახსნა სახელმწიფო საკოლმეურნეო თეატრი და უზრუნველჰყო იგი, როგორც დოტაციით და კვალიფიციურ მსახიობებით, ისე რეპერტუარით. თეატრმა ამ ხნის განმავლობაში აღზარდა ისეთი ნიჭიერი მსახიობები ადგილობრივ მცხოვრებთაგან, როგორიც არიან მამია დგებუაძე, თინა ხუციშვილი, თინა ფიფია, მიხეილ თათარიშვილი, ვალია ელიავა, ხ. შენგელია, ნათელა ბობოხიძე, აპოლონ თათარიშვილი და სხვები. ხობის ახალგაზრდა მსახიობთა გაწრთვნის მიზნით სხვადასხვა დადგმაში სხვადასხვა დროს ახალგაზრდა მსახიობებთან გამოდიოდნენ საქ. სსრ სახალხო არტისტები ორდენოსნები ელისაბედ ჩერქეზიშვილი და ნიკო გოცირიძე.

6 წლის განმავლობაში თეატრმა დადგა შალვა დადიანის „გეგეჭკორი“, სერგო კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“, „კოლმეურნის ქორწინება“, ვიქტორ გაბესკირიას „მათი ამბავი“, ა. ცაგარლის „ხანუმა“, გ. ერისთავის „ძუნწი“, სეზმან ერთაწმინდელის „უკანასკნელი ვაზნა“, კოჩარიანის „ბრმა მუსიკოსი“, გ. ბერძენიშვილის „ოქროს ვერძი“, „ჩაძირული ოქრო“, „ჩვენი მიწა“, შ. თაქთაქიშვილის „ოჯახი“ და სხვ.

სამამულო ომის დაწყების წინა დღეებში საკავშირო ხელოვნების კომიტეტის და საქართველოს ხელოვნების სამმართველოს წარმომადგენლების მიერ გასინჯული და მოწონებული იქნა თეატრის რამდენიმე დადგმა.

სამამულო ომის დღეებში თეატრმა მუშაობა მთლიანად ფრონტის ინტერესებს დაუმორჩილა. უდოტაციო მუშაობაზე გადასვლის შემდეგ უფრო გააძლიერა თავისი შემოქმედებითი მუშაობა.

თეატრმა მაყურებელს უჩვენა სამამულო ომის თემაზე დაწერილი პიესები: ვლადიმერ წირღვავას „ქართველი დედა“, სეზმან ერთაწმინდელის „ყანები იწვიან“, იალუნერის „სიკვდილთან ახლო“ და სხვ. დადგმები განახორციელა თეატრის ხელმძღვანელმა რეჟისორმა შურა კობახიძემ.

ხობის თეატრს თავის დადგმები კოლმეურნეობაშიაც გადააქვს. თეატრმა რამდენიმე პიესა ქ. ცხაკაიას საკოლმეურნეო თეატრშიც დადგა.

ამჟამად თეატრი ახალ პიესებზე მუშაობს.

**ვ. წ—ვა**



მოვაისკის მიმართულება: საბჭოთა მოტოციკლისტების კოლონა მიემართება მტრის დესანტის მოსასპობად. (საკდესის ფოტოქრონიკა).

# ორი ანტიფაშისტური სპექტაკლი

## ახალგაზრდა მაყურებელთა თბილისის ქართულ თეატრში

ახალგაზრდა მაყურებელთა თბილისის ქართული თეატრი ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა სამამულო ომის ამბებს, ამასთან გამოეხმაურა საკუთარი ავტორის ნაწარმოებით: პიესა „გაიდარი“ დაწერილია ამ თეატრის არტისტის ალ. კაჭკაჭიშვილის მიერ.

პიესა მოგვითხრობს საბჭოთა ბელორუსიის კოლმეურნეთა ბრძოლას გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. იგი გვიამბობს იმას, თუ როგორ შესწყვიტა ფაშისტების ვერაგულმა თავდასხმამ კოლმეურნეთა ბედნიერი ცხოვრება, თუ როგორ აიღეს უმალვე ხელში იარაღი კოლმეურნეებმა სამშობლოსა და იმ ხელისუფლების დასაცავად, რომელმაც მათ ეს ბედნიერი ცხოვრება მიანიჭა. პიესის გმირები არიან ერთი საკოლმეურნეო ოჯახის ადამიანები, ამ ოჯახის სამი თაობის ადამიანები: კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაიდარი, სამოქალაქო ომის და ახლანდელი სამამულო ომის პარტიზანი, გაიდარის მამა და გაიდარის სამი ვაჟი. პაპა და შვილიშვილები გაიდარივით აქტიურ მონაწილეობას იღებენ საძულველ ოკუპანტებთან ბრძოლაში. და ამ პერსონაჟებს ავტორმა გაიდარზე ნაკლები ადგილი როდი დაუთმო, ამიტომ პიესის სახელწოდება სავსებით არ შეეფერება მის შინაარსს. ამასთან პრიმიტიულობა, რომელიც ემჩნევა სახეებს და პიესის სიუჟეტის აღნაგობას, პირველყოვლისა, თვით გაიდარის სახის გამოკვეთაშიაც გამოჩნდა. გაიდარი, კაცმა რომ სთქვას, იმდენად სახასიათო თვისებებით აღჭურვილი სახე არ არის, რამდენადაც სქემატიური ფიგურა. არტისტ ა. ყიასაშვილს, რომლის შესრულებას ერთფეროვნება ახასიათებს, ვერ დაუძლევია ეს სქემატიზმი. პაპის სახე, რომელიც შეიცავს კომედიურ და ჰეროიკულ თვისებებს (პაპა იღუპება მტერთან ბრძოლაში), ბევრად უფრო დამაჯერებელი გამოუვიდა როგორც ავტორს, ისე შემსრულებელს — მსახიობს ივ. ნინუას. სპექტაკლს აქვს სხვა აქტიორული ღირსებაც, მაგალითად, წარმატებით ასრულებს მამაცი ჭაბუკის როლს მსახიობი ვ. არეშიძე და პატარა ზიუკას როლს — დამსახურებული მსახიობი გოგუცა კუპრაშვილი.

საყურადღებოა მხატვარ ნ. ყაზბეგის ნამუშევარი. საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მის მიერ სპექტაკლის დეკორატიული გაფორმება წარმოადგენს ზოგიერთი მხატვრული პრობლემის (რელიეფური ფონის შექმნის, ინტერიერის ექსტერიერთან შეერთების) გადაწყვეტის საინტერესო ცდას. დეკორაციაში, რომელიც სახლის შინაგან მხარეს გვიჩვენებს, შეტანილია სახლის გარეგნული ელემენტებიც.

თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი სახალხო არტისტი ალ. თაყაიშვილი, როგორც ყველა თავის სპექტაკლში, აქაც დაკვირვებულ და კულტურულ დამდგმელად მოგვევლინა. ამ დადგმასაც ახასიათებს სწორი და ნათელი მიდგომა პიესისადმი, ერთიანობა მონაფიქრისა, რომელიც საფუძვლად უდევს პიესის გახსნას.

ასეთივე მთლიანობა ახასიათებს თაყაიშვილის მიერ დადგმულ მეორე სპექტაკლში, რომელსაც ეწოდება „გაგრძელება იქნება“ და რომელიც ეკუთვნის რუს მწერალ ქალს ალექ-სანდრა ბრუშტეინს. ამ ვაჟკაცურ[illegible] წერილი პიესის მოქმედება მიმდინარეობს [illegible] როცა ჰიტლერელმა [illegible] ლა-უფლება ჩაიგდეს ხელში. მოქმედება სწარმოებს უმთავრესად უბრალო ადამიანების, ერთი მეორის მეზობლად მცხოვრებ მშრომელთა წრეში. სპექტაკლში ძირითადი და მთავარია მშრომელთა მეგობრობა, ურთიერთისთვის ხელისშეწყობა, გაერთიანებული წინააღმდეგობა ფაშისტ მოძალადეებთან. ერთნი აქტიურად და აშკარად ებრძვიან ფაშიზმს. მეორენიც იბრძვიან მის წინააღმდეგ, მაგრამ ზოგჯერ ეს ბრძოლა პასიური და შეუცნობელია, მაგრამ ერთნიც და მეორენიც იბრძვიან ერთად, ეხმარებიან და შველიან ერთმანეთს.

ამიტომ კარგია სცენები, სადაც მხოლოდ ეს პერსონაჟები მოქმედებენ, ამ სცენებში ბევრი სითბო და გულითადობაა. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ეხმარებიან ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ახალგაზრდები, რომლებთაც ესმით დატრიალებული ამბების აზრი და მნიშვნელობა, თავიანთ ნორჩ მეგობრებს—გაერკვნენ ამ ამბებში და მონახონ თავიანთი ადგილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. სუსტი გამოვიდა ის სცენები, რომელნიც უნივერსიტეტში ხდებიან, სადაც პიესის პერსონაჟები პირისპირ ხვდებიან მტერს. თეატრს ჯერ კიდევ ვერ მოუნახავს უტყუარი და დამაჯერებელი საღებავები ფაშისტების დასახატავად. „გაიდარში“ მსახიობები, რომლებიც გერმანელი ჯარისკაცების როლებს ასრულებენ, სახეებს ძალზე აკომიკურებენ. ხოლო პიესაში „გაგრძელება იქნება“ ფაშისტი სტუდენტები წარმოდგენილი არიან საკმაოდ უწყინარ ხულიგნებად: მათ ბრჭყვიალა გარეგნობაში არა სჩანს ის მხეცური იერი, რომელიც ამ დეგენერატებს ახასიათებს. ვფიქრობთ, რომ თეატრის ნიჭიერ კოლექტივს აღმოაჩნდება ისეთი გამოსახვითი საშუალებანი, რომლებიც ამ სცენებსაც აიყვანენ სპექტაკლის საერთო მაღალ დონემდე.

შემსრულებელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მსახიობი ქალი თ. თვალიაშვილი, რომელმაც შეჰქმნა მიამიტი, მგრძნობიარე ბავშვის სახე. მხატვრული სიმართლით განასახიერეს მოხუცი მკერვალი მოზე გლიუშპანი და მისი ბავშვები ფრიდლი და მაქსი ალ. კაჭკაჭიშვილმა, თ. კეჭეყმაძემ და ან. კერესელიშვილმა. იგივე შეიძლება ითქვას არტისტ გ. აბაშიძეზე, რომელმაც დაგვიხატა მედგარი და შეუპოვარი ანტიფაშისტი ახალგაზრდა გუსტი. პროფესორი ვედელი მსახიობ ვ. არეშიძის შესრულებით რამდენადმე დაფერილმანებულია.

„გაიდარსა“ და „გაგრძელება იქნება“-ში თბილისის ახალგაზრდა მაყურებელთა ქართულმა თეატრმა სხვადასხვა მასალის მიხედვით თავის აუდიტორიას უჩვენა ორი ძალის ხალხის და სისხლიანი ფაშიზმის დაჯახების სხვადასხვა სტადია. ამ სპექტაკლების შემეცნებითი და აღმზრდელობითი მუშაობა ეჭვს გარეშეა: ისინი აძლიერებენ ბავშვებსა და ახალგაზრდებში საზიზღარი მტრის წინააღმდეგ მედგარი და შეუპოვარი ბრძოლის გაგრძელების წყურვილს.

**ა. ფევრალსკი**

# საბრძოლო ლიტერატურული ჟანრი

## პლატონ კეშელავა

ყოველ დღესა და ღამეს, ყოველ წუთს ადამიანის გულისა და გონების აღმგზნები გმირული ბრძოლის და გამარჯვების ამბები მოაქვს: ჩვენი ბრძოლის ყოველი ეპიზოდი სავსეა ნამდვილი, ვეებერთელა, მაღალი მამაცური სიცოცხლით, რომელიც თავისი დაუშრეტელობით საუკუნეებს გაუძლებს. ასეთი საბრძოლო ეპიზოდი ჩვენი ხალხის გამძლე სიცოცხლით ხუნთქავს და ღირსია ბრძოლის პროცესშივე გამოისახოს მაღალმხატვრული პოეტური სიტყვით—მიიღოს გამოკვეთილი სახე, რომ ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილი და გამოჭედილი ვაჟკაცური თავდაცვის ამბავი ისევ ბრძოლის ველზე გავიდეს და მომდევნო ბრძოლებზე გავლენა მოახდინოს, ჩვენი ხალხის სამამულო ომის დიადი გმირობის ეპოპეაში შევიდეს და ისევ გმირული სიცოცხლე განაგრძოს.

მხატვრულ ნაწარმოებთა შორის ამ დანიშნულებას ასრულებს საბრძოლო ეპიზოდებზე დაწერილი ნოველა. ასეთი ნოველა, მიუხედავად მცირე ფორმისა, დიდი და წარუშლელი შთაბეჭდილების მომცემია: იგი თავისი ოპერატიულობით სწრაფად ახდენს გავლენას მკითხველზე, წუთიერი შესვენების დროსაც ადვილად იკითხება და, რაც მთავარია, წაკითხვის შემდეგ ფართოდ იშლება მკითხველის წარმოდგენაში, სწვდება ადამიანის გულისა და გონების სიღრმეს და, თუ იგი გმირული სულის გამომხატველია, გმირობისაკენ დასძრავს მებრძოლის ენერგიას. ასეთი თვისება განსაკუთრებულ უფლებასა და უპირატესობას ანიჭებს ნოველას ომის ხანაში, როცა ადამიანის გმირული სული იბადება, იწრთობა და მოქმედებს.

ნოველის ძირითადი ნიშანი სიუჟეტური სიმძაფრეა. იგი მოკლედ მოკვეთილი, ერთი სიტუაციის გარშემო გაშლილი ამბავია, რომელიც ერთი დიდი მოვლენის გულისცემას გამოხატავს ისე, რომ გმირის ცხოვრების ერთს ეპიზოდში მის მთელ სიცოცხლეს აგრძნობინებს მკითხველს. ნოველას ახასიათებს მოულოდნელი ბოლო, მოხერხებულად მოკვეცილი, როდესაც ეს მოულოდნელობა, ხელმეორედ მობრუნებული, სრულიად ახალი შუქით ანათებს მთელს ამბავს, ამძაფრებს შინაარსს და უფრო ამახვილებს შთაბეჭდილებას. ნოველაში მხოლოდ მზა ხასიათი როდი მოქმედებს: ნოველის დინამიურობა სწორედ იმაშია, რომ გმირის ხასიათის სიმტკიცე, მისი დიდი თუ მცირე ღირსება ნოველაში მჟღავნდება: ხასიათის ძირითადი თვისება სწორედ ნოველურ სიტუაციაში იბადება, შუქდება და ცოცხლობს.

ამიტომ იყენებდნენ ნოველას საბრძოლო ეპიზოდების გამოსახატავად ამ ჟანრის ცნობილი ოსტატები სერვანტესი, პროსპერ მერიმე, გი დე მოპასანი, ალფონს დოდე; ამერიკელები: სტივენ კრენი, ამბროზ ბირსი, ჯეკ ლონდონი და სხვები, რომლებმაც ისეთი მოხერხებით გამოიყენეს ეს ჟანრი, ისეთი შედევრები შექნეს საბრძოლო ეპიზოდებზე დაწერილი ნოველების სახით, რომ ამ ჟანრის საბრძოლო ხასიათის მტკიცება საჭირო აღარ არის.

დღეს, როდესაც ომის გრიალში დედამიწა ზანზარებს და ცის თაღებს ცეცხლის ენები ლოკავენ, მახვილი და მძაფრი შინაარსით სავსე მცირე ფორმის ნაწარმოები—ლექსი, სიმღერა, ნოველა უფრო ადვილად იკვლევს გზას მკითხველისაკენ. რა თქმა უნდა, იმ ლეგენდარული, გიგანტური ბრძოლების ამოწურვა, რომლებსაც ხალხთა საყვარელი მთავარსარდლის, ბრძენი ბელადის სტალინის შთაგონებით აწარმოებს დღეს ჩვენი მრავალნაციონალური, მაგრამ ხალხთა ერთსულოვანი მეგობრობით განმტკიცებული სოციალისტური სახელმწიფო გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, მცირე ფორმებით არ შეიძლება. ჩქარა დადგება დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის სახელოვანი მწერლები ნოველის ვიწრო არტახებით არ შეჰკრავენ სამამულო ომის გმირების საზღაპრო მამაცობის ამბავს და გადავლენ სასიქადულო ძლევისა და გამარჯვების ეპოპეის შექმნის დიად საქმეზე.

ომის სისასტიკეში უკვე გამომჟღავნდა საბჭოთა ხალხის უდიდესი გმირობა, უკვე თვეზე მეტია, რაც ჩვენი მშობლიური წითელი არმია შეტევაზე გადავიდა და მიერეკება მტერს სამშობლოს წმინდა მიწა-წყლიდან.

ჰიტლერმა და მისმა ხროვამ უსაშინელესი მტაცებლობა, ამორალობა და სიბეცე გამოამჟღავნეს, მაგრამ ისინი ებღაუჭებიან ოცნებას მსოფლიო ბატონობაზე და თავს არ ანებებენ ხალხთა აწიოკებას. ამიტომ ისინი უსასტიკესი სატირისა და შარჟის პერსონაჟებად დგანან მოწინავე კაცობრიობის წინაშე, მით უფრო, რომ ისინი ვაჟკაცურად კი არ იბრძვიან, არამედ ვერაგობით სავსე სამარცხვინო ხრიკებს იყენებენ: ხშირად მშვიდობიან მოსახლეობას, ქალებსა და ბავშვებს ეფარებიან და ისე აპირებენ შეტევაზე გადმოსვლას.

უკრაინაში ხალხის საყვარელ პოეტის ტარას შევჩენკოს წმინდა საფლავზე მათ ქვემეხები დადგეს, რომ ჩვენი მამაცური დარტყმა აეცდინათ. დაპყრობილ ქვეყნებს მათ დამცირება, სიღარიბე, ველურობა და მონობა მიუტანეს, ამიტომ გაურბის მათ ურდოებს მშვიდობიანი მოსახლეობა: ბელორუსიაში გაწარებისაგან მრავალმა დედამ ჭაობში ჩაახრჩო ბავშვი, რომ იგი ფაშისტების ხელში არ ჩაეგდო, თვითონ კი, შურისძიების ცეცხლით ანთებული, ტყედ გაიჭრა და, როგორც პარტიზანი, გააფთრებული იბრძვის თავისუფალი ქვეყნის დამპყრობელის წინააღმდეგ, ძირს უთხრის მტრის ბატონობას.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა თავის ნოტაში „აღნიშნა ფაშისტების მიერ ჩადენილ დანაშაულთა მხოლოდ მცირე, მხოლოდ მესედი ნაწილი, ვინაიდან ამ დანაშაულთა სრული ჩამოთვლა მთელ ტომებს დაიკავებდა“ („პრავდა“). ამ მრისხანე საბრალმდებლო ოქმის მასალაზე საბჭოთა მწერლები დასწერენ ტომებს, სადაც ჩვენი ხალხის გმირობის გვერდით ფაშიზმის ბოროტი სული და მახინჯი სახე ისეთი სიცხადით გამოჩნდება, რომ ყველა პატიოსან გერმანელსაც-კი შეაძრწუნებს და დაარწმუნებს ომის გამჩაღებელთა ვერაგობაში.

სრულიად სხვა როლი ეკისრება ნოველას ჩვენი ქვეყნის ერთგული მამაცი მებრძოლების სახელთა უკვდავსაყოფად. აქ უდიდესი კეთილშობილებით მოსილი გმირის ბრწყინვალე სახისა და სულიერი მღელვარების გამოსახატავად გამოყენებულ უნდა იქნას ჩვენი ხალხის მხატვრული სიტყვის მთელი მარაგი და ძალა.

სამამულო ომმა წარმოშვა ახალი საამაყო სახელები: გასტელო, ივანოვი, პირტახია, სახელოვანი პარტიზანები და მეომრები, რომლებიც თავიანთი ელვარებით დიდი სტალინის ეპოქას ამშვენებენ, და ამით მან ლიტერატურას შეუქმნა შთაგონების დაუშრეტელი წყარო.

ყოველმა საბჭოთა მებრძოლმა იცის, რომ ჩვენი ხალხის გამარჯვებით უდიდესი საქვეყნო საქმე კეთდება: ყველა ხალხის მომავალი ბედი აქ იჭედება, და პოეტებიც მტკიცე საგმირო სიტყვით ადიდებენ მამაცთა თავდადებას სამშობლოსათვის. საბჭოთა ქვეყნის დამცველ მეომარს მარტო ფიზიკური ძალა და მატერიალური საჭურველი როდი ამაგრებს,—მას ღრმა სულიერი კულტურა და სულიერი ძალ-ღონე ამოქმედებს. მან კარგად იცის, რომ იგი თავისი სახლკარისა, თავისი დედისა და მამის, თავისი ძმისა და დის, თავისი ცოლისა და შვილის, თავისი ხალხისა და მშობლიური ხელმძღვანელის, თავისი ქვეყნის ბედნიერებას, დიდებასა და სინიდისს ეწირება. ჩვენ ხალხს კარგად აქვს შეგნებული, რისთვის იბრძვის, რას იცავს და რას უმღერის იგი, ამიტომ ჩვენი მეომრის გმირობა იზრდება: გუშინდელი გმირობის მაგალითი დღევანდელ ბრძოლაში გაორკეცებით ვლინდება, დღევანდელი მამაცობა სახვალიო საბრძოლო განწყობილებას ზრდის და ასე გაგრძელდება, სანამ ფაშიზმს ბოლო არ მოეღება.

აუცილებელია ლომებივით მებრძოლ ჩვენი ქვეყნის მცველთა ვაჟკაცობის ასახვა ახლავე, ბრძოლის პროცესშივე: გუშინდელი გმირობის ცოცხლად აღწერილი ამბავი დღეს საბრძოლო იარაღია ჩვენი ხალხისათვის. ამიტომ ჩვენი სიტყვის ოსტატებს ისეთივე დიდი საბრძოლო შრომა და მოქნილი საბრძოლო მოქმედება ევალებათ, როგორიც ფრონტზე მომქმედ მეომრებს.

დღევანდელი ნოველა ჩვენი ხალხის გრანდიოზული ბრძოლისა და გამარჯვების გამომხატველ დოკუმენტს უნდა წარმოადგენდეს. ნოველების კრებულმა გმირთა მამაცობის განსაცვიფრებელი ამბები ისეთი მხატვრული ოსტატობით უნდა აჰკინძოს, რომ ღირსეულად შევიდეს იგი სტალინური ეპოქის ბრძოლებისა და ხალხთა მეგობრობის გამარჯვების ისტორიაში.

საბჭოთა სიტყვის ოსტატები სამამულო ომის დაწყების დღიდან შეუდგნენ ომის ეპიზოდებზე მხატვრულ ნაწარმოებთა წერას. საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ენებზე უკვე არა ერთი ასეული ოსტატურად დაწერილი ნოველა, ლექსი, პოემა და მხატვრული ნარკვევი გახდა პოპულარული.

ქართველი პროზაიკოსებიც დიდი წარმატებით სწერენ ნოველებს სამამულო ომის ეპიზოდებზე და შრომის ენტუზიასტების გმირობაზე.

საკმაო დიდი გამოხმაურება ჰპოვა ომის პირველ დღეებშივე ლეო ქიაჩელის ნოველამ „მამა და შვილი“, რომელიც შესანიშნავად გამოხატავს ჩვენი ხალხის საბრძოლო განწყობილებას როგორც ფრონტზე, ისე ზურგში.

მაგრამ დღემდე გამოქვეყნებულ ყველა ნოველა როდი აღწევს ამ დონეს, ყველა როდი აკმაყოფილებს მოთხოვნას, რომელსაც ამ ჟანრს უსახავს ღრმა დრამატიზმით სავსე საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომი. ქართველ პროზაიკოსებს ჯერ კიდევ დასჭირდებათ გულმოდგინე შემოქმედებითი მუშაობა, რათა ქართულ ნოველამ მოკლე დროში დაიმკვიდროს საბრძოლო პოეტური ჟანრის ადგილი, რათა ლექსისა და სიმღერის გვერდით ნოველაც გადაიქცეს ბრძოლის შთაგონების წყაროდ ჩვენი გმირი ხალხისათვის.

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლი), ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 29